შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის სავალდებულო მომსახურების შეთავაზების წინადადება („ოფერტა“)

წინამდებარე ოფერტა სრულად ეფუძნება კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ სპეციფიკურ ვალდებულებებს, რასაც შპს „მაგთიკომი“ არ ეთანხმება და მიაჩნია უკანონოდ. „კომისიის“ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სასამართლოში და შპს „მაგთიკომის“ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ან სამართლებრივად იდენტური ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, შპს „მაგთიკომი“ მოითხოვს მიყენებული ზარალის და/ან მიუღებელი შემოსავლების ანაზღაურებას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, რაც არ გამორიცხავს ტარიფების გადაანგარიშებას ურთიერთობების დაწყების თარიღიდან.

წინამდებარე ოფერტა შემუშავებულია შპს მაგთიკომის (შემდგომში - „მაგთიკომი“) მიერ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის 25 ივლისის #გ-24-9/331 „მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შესახებ“ გადაწყვეტილებით დაკისებული სპეციფიკური ვალდებულების შესრულების ფარგლებში.

„ოფერტა“ აყალიბებს „მაგთიკომსა“ და იმ „ავტორიზებული პირის“ ურთიერთთანამშრომლობის პირობებს, რომელსაც სურს ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი საბითუმო მომსახურების მიღება:

- „მაგთიკომის“ მობილური ქსელის გამოყენებით ოპერირება, როგორც მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორს, საქართველოში ბოლო მომხმარებლებისათვის მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდების მიზნით (შემდგომში - „MVNO მომსახურება“);

- ეროვნული როუმინგის მომსახურება, საქართველოში ბოლო მომხმარებლებისათვის მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდების მიზნით (შემდგომში - „ეროვნული როუმინგის მომსახურება“);

- თანალოკაციის მომსახურება, საქართველოში ბოლო მომხმარებლებისათვის მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდების მიზნით (შემდგომში - „თანალოკაციის მომსახურება“).

„კანდიდატის“ მიერ „ოფერტის“ პირობების მიღება/დათანხმება წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს „მხარეთა“ შორის სახელშეკრულებო პირობებზე მოლაპარაკების დასაწყებად. „ოფერტა“, „ხელშეკრულებასთან“ ერთად წარმოადგენს ერთიან შეთანხმებას. „ოფერტას“ და „ხელშეკრულებას“ შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, „ხელშეკრულების“ პირობებს ენიჭებათ უპირატესობა.

1. ტერმინების განმარტებები

1.1 **ავტორიზებული პირი** - „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მობილურ საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირი.

1.2 **„აფილირებული პირი“** - პირი, რომელიც: ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ „აკონტროლებს“ „ კანდიდატს“ ან „კონტროლდება“ „კანდიდატის“ მიერ ან ასეთ პირთან ერთად არის საერთო „კონტროლის“ ქვეშ მესამე პირის მიერ; ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს/მართავს „ კანდიდატის“ წილს/აქციებს; გ) „კანდიდატთან“ დაკავშირებულია პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესით.

1.3 **„კომისია“** - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

1.4 **„კონტროლი“** - ნიშნავს პირის მიერ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, უფლებამოსილების ქონას მართოს საქმეები და რომელი პირიც (ა) არის კომპანიის აქციების ან წილის ან ხმის უფლების მფლობელი; ან/და (ბ) აქვს უფლება დანიშნოს და გაათავისუფლოს დირექტორები ან სხვაგვარად აკონტროლოს ხმები ასეთი კომპანიის დირექტორთა/სამეთვალყურეო საბჭოს კრებებზე; ან გ) ნებისმიერი სხვა საშუალებით ან მექანიზმით გავლენას ახდენს კომპანიის გადაწყვეტილების ფორმირებაზე, არსებული სადამფუძნებლო ორგანიზაციული დოკუმენტებით (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება კომპანიის წესდებით, დებულებით ან შიდაორგანიზაციული აქტებით), ასეთი კომპანიის ნებისმიერ პარტნიორთა შეთანხმებით ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტით, მინიჭებული ნებისმიერი უფლებამოსილების ძალით ან სხვა ნებისმიერი საშუალებით.

1.5 **„კანდიდატი“** – ავტორიზებული პირი, რომელიც „ოფერით“ დადგენილი წესით, განაცხადით მიმართავს „მაგთიკომს“ „ოფერტით“ გათვალისწინებული მომსახურების მიღების მიზნით.

1.6 **„MVNO“** – „ავტორიზებული პირი“, რომელსაც სურს „მაგთიკომის“ მობილური ქსელის გამოყენებით ოპერირება, როგორც მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორს, საქართველოში ბოლო მომხმარებლებისათვის მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდების მიზნით.

1.7 **„ხელშეკრულება“** - „ოფერტის“ საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად „მხარეთა“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

1.8 „მხარე“ - „მაგთიკომი“ ან „კანდიდატი“ კონტექსტიდან გამომდინარე.

1.9 „მხარეები“ - „მაგთიკომი“ და „კანდიდატი“ მოხსენიებული ერთობლივად.

1.10 „ოფერტა“ - წინამდებარე დოკუმენტი.

1.11 „ოფერტაში“ გამოყენებული აბრევიატურების განმარტება მოცემულია დანართში.

1.12 ტერმინები, რომელიც არ არის განმარტებული „ოფერტაში“, განიმარტება საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

2. დაშვების პირობები

2.1. თუ „ოფერტით“ გათვალისწინებული მომსახურების მიღების მსურველ „ავტორიზებულ პირს“ გონივრული მოთხოვნის საფუძველზე, განზრახული აქვს გახდეს „ კანდიდატი“ და მოიპოვოს დაშვება „მაგთიკომის“ მობილურ ქსელზე, უნდა მიმართოს „მაგთიკომს“ ოფერტით გათვალისწინებული წესით და აწარმოოს კეთილსინდისიერ მოლაპარაკებები „მაგთიკომთან“, „ოფერტაში“ მითითებული პირობების შესაბამისად, „ხელშეკრულების“ გასაფორმებლად. მოლაპარაკებების საფუძველზე დადგინდება „მაგთიკომის“ მიერ „ კანდიდატისთვის“ გასაწევ მომსახურებათა ნუსხა.

2.2. პირი „კანდიდატად“ განიხილება, თუ იგი ერთობლივად აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იყოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად „ავტორიზებული პირი“ იმ მომსახურებებზე, რომლებზეც ის ითხოვს დაშვებას;

- უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერი განზრახვით და მისი მიზანი უნდა იყოს ბოლო მომხმარებლისთვის მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება;

- მოთხოვნილი მომსახურების გასაწევად უნდა ფლობდეს ყველა აუცილებელ რესურსს, მათ შორის, შესაბამის ინფრასტრუქტურას;

- „MVNO მომსახურების“ მოთხოვნის შემთხვევაში, თავად ან მისი „აფილირებული პირი“ არ უნდა ფლობდეს საქართველოში რადიოსიხშირული

სპექტრის ლიცენზიას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მობილური საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად;

- „ეროვნული როუმინგის მომსახურების“ მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა ფლობდეს საქართველოში რადიოსიხშირული სპექტრის ლიცენზიას და უწევდეს მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას ბოლო მომხმარებელს და აკმაყოფილებდეს „კომისიის“ 2024 წლის 25 ივლისის #გ-24-9/331 გადაწყვეტილებით დადგენილ პირობას;

- „თანალოკაციის მომსახურების“ მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა ფლობდეს საქართველოში რადიოსიხშირული სპექტრის ლიცენზიას და უწევდეს მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას ბოლო მომხმარებელს;

- უნდა ფლობდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მექანიზმებს თაღლითური შემთხვევების და კიბერშეტევების ეფექტურად პრევენციის, გამოვლენისა და მათზე დროული რეაგირებისათვის (ITU-T x.805 სტანდარტის და მისი დანართს ITU-T X.805 – Supplement on security guidelines for mobile virtual network operators” და GSMA –ს FS.19 და FS.11 რეკომენდაციების შესაბამისად);

- „MVNO მომსახურების“ მოთხოვნის შემთხვევაში, არ უნდა ჰქონდეს გაფორმებული ხელშეკრულება ვირტუალური ქსელის დაშვების მომსახურების მისაღებად საქართველოში არსებული სხვა „ავტორიზებულ პირთან“;

- „კომისიის“ წევრი ან მისი ოჯახის წევრი არ უნდა წარმოადგენდეს „კანდიდატის“ ან მისი „აფილირებული პირის“ წილის ან აქციის მფლობელს ან არ უნდა იყოს „ კანდიდატის“ ან მისი „აფილირებული პირის“ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პირი, ისევე როგორც „კანდიდატი“ ან მისი „აფილირებული პირი“ არ უნდა იმყოფებოდეს „კომისიის“ წევრის ან მისი ოჯახის წევრის „კონტროლის“ ქვეშ;

- „კანდიდატის“ წილის ან აქციის მფლობელი არ უნდა იყოს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ან რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული იურიდიული პირი.

2.3. „ოფერტით“ MVNO და ეროვნული როუმინგის მომსახურებები ხელმისაწვდომი იქნება ერთობლივად (განცალკევების გარეშე) ყველა იმ ტექნოლოგიის საფუძველზე, რომელსაც ამჟამად „მაგთიკომი“ იყენებს საკუთარი ბოლო მომხმარებლებისათვის მომსახურების მისაწოდებლად (2G, 3G, 4G და 5G).

2.4. მობილური ტექნოლოგიების სამომავლო განვითარებებზე ან/და არსებულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ახალ პროდუქტებზე წვდომა/დაშვება, რომლებიც „ოფერტის“ ძალაში შესვლის დღისათვის არ არის შეთავაზებული „მაგთიკომის“ მიერ, „ხელშეკრულების“ საგანს არ წარმოადგენს.

2.5. „კანდიდატი“, როგორც საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, დამოუკიდებლად აგებს პასუხს მასზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და მის მიერ განსახორციელებელ/ განხორციელებულ ქმედებებზე.

2.6. საბითუმოდ მიწოდებული მომსახურების საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულების მენეჯმენტი (მაგალითად: მართლზომიერი გადაჭერა, საგანგებო სამსახურის ნომრების ხელმისაწვდომობა, მობილური სატელეფონო ნომრების პორტაბელურობა) წარმოადგენს „მხარეთა“ შეთანხმების საგანს და შესაძლოა აისახოს „ხელშეკრულებაში“.

2.7. „მაგთიკომი“„ხელშეკრულების“ პირობებზე მოლაპარაკებას, ისევე როგორც საბითუმო დაშვების ტექნიკურ იმპლემენტაციას განახორციელებს ერთდროულად მხოლოდ ერთ „კანდიდატთან“, ყოველ მომდევნო შემთხვევაში შესაბამისი რიგითობის დაცვით.

2.8. იმ შემთხვევაში, თუ „კანდიდატის“ მიერ „ხელშეკრულებაში“ შეთანხმებული ფორმით ვერ ხორციელდება ტექნიკური იმპლემენტაცია თანმიმდევრული 3 თვის ვადაში, „მაგთიკომი“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს „ხელშეკრულება“.

3. განაცხადის წარდგენა საბითუმო დაშვებაზე

3.1. სახელშეკრულებო პირობების მოლაპარაკების და საბოლოოდ საბითუმო დაშვების მოპოვების მიზნით, „კანდიდატმა“ ოფერტის ძალაში შესვლის შემდეგ, უნდა წარუდგინოს (ელექტრონულად და ფიზიკურად) „მაგთიკომს“ ქართულ ენაზე შედგენილი წერილობითი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ა. პოლიტკოვსკაიას 7, 0186, ქ. თბილისი, საქართველო, „მაგთიკომის“ სამუშაო დღეებში (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა), ელ. ფოსტა: office@magticom.ge. მოთხოვნის მიღების თარიღად ჩაითვლება განაცხადი, რომელიც პირველი დარეგისტრირდება.

3.2. განაცხადში „კანდიდატმა“ უნდა დაადასტუროს, რომ იგი გაცნობილია „ოფერტას“ და აცხადებს უპირობო აქცეპტს მისი ყველა პირობის შესრულებაზე.

3.3. განაცხადი სულ მცირე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას/დოკუმენტაციას:

- განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

- „კანდიდატის“ იურიდიული მისამართი (ასევე ფაქტობრივი მისამართი, თუ იგი განსხვავდება იურიდიული მისამართისაგან);

- ელექტრონული ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი;

- ავტორიზაციის სერტიფიკატი (გაცემული „კომისიის“ მიერ);

- საკონტაქტო პირ(ებ)ის ვინაობა (სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი);

- მოთხოვნილი მომსახურება (მობილურ ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვება „მაგთიკომის“ მობილურ ქსელზე, ეროვნული როუმინგის მომსახურების, თანალოკაციის მომსახურება). MVNO-ს შემთხვევაში, ასევე მითითებული უნდა იყოს რომელი კატეგორიის დაშვებას (MVNO-ს კონკრეტული კატეგორიის მითითებით[1]) ითხოვს „კანდიდატი“;

- მე-10 მუხლით დადგენილი მონაცემები პროგნოზის შესახებ;

- წარმოადგინოს ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბოლო 12 თვის კომპანიის ბრუნვის შესახებ და ქონების ღირებულების შესახებ;

- „მაგთიკომის“ ანგარიშზე თანხის (10 000 ლარის) ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში აღნიშნული თანხა ჩაითვლება მომსახურების საფასურში/დეპოზიტში (როგორც მხარეები შეთანხმდებიან), ხოლო მოლაპარაკებების შეწყვეტის შემთხვევაში, მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში დაუბრუნდება „კანდიდატს“, გარდა 3.8 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას.

- პროგრამული უზრუნველყოფებისა და მოწყობილობების დეტალური აღწერილობა, რომლებიც გამოყენებული იქნება „ოფერტაში“ მითითებული მომსახურებების შესაძენად. აღნიშნულ პროგრამულ უზრუნველყოფებსა და მოწყობილობებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისობის სერტიფიკატები, შესაბამისი ლიცენზიები და ტექნიკური მხარდაჭერა, „კანდიდატის“-ს მიერ მათ მართლზომიერ გამოყენებაზე.

- ინფორმაცია „კანდიდატის“ და მისი „აფილირებული პირების“ (კომპანიების) სტრუქტურის შესახებ (რეზიდენტი და არარეზიდენტი პირების, ბენეფიციარების, მათ შორის, საბოლოო ბენეფიციარების მითითებით).

[1] „კანდიდატის“ მიერ, განცხადის დარეგისტრირების შემდეგ, მოთხოვნილი „MVNO“-ს კატეგორიის ცვლილება განიხილება ახალ განაცხადად.

3.4. იმ შემთხვევაში, თუ „კანდიდატს“ ან მის „აფილირებულ პირს“ აქვს რაიმე, მათ შორის, შეუსრულებელი ვადამოსული ფინანსური ვალდებულება „მაგთიკომის“ წინაშე ან „მაგთიკომის“ „აფილირებული პირის“ წინაშე, განაცხადი არ ჩაითვლება მიღებულად და „მაგთიკომს“ არ აქვს ვალდებულება განიხილოს ამგვარი განაცხადი. წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის, შეუსრულებელ ფინანსურ ვალდებულებაში მოიაზრება ნებისმიერი ფულადი თანხა, რომელიც მოთხოვნილია/დარიცხულია „მაგთიკომის“ ან მისი „აფილირებული პირის“ მიერ ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთვის და იგი არ არის ანაზღაურებული/გადახდილი.

3.5. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი განაცხადი ვერ დააკმაყოფილებს 3.1 - 3.4 პუნქტებით გათვალისწინებულ ან „ოფერტით“ დადგენილ სხვა მოთხოვნებს, კანდიდატს ეცნობება აღნიშნულის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, „კანდიდატი“ ვალდებულია გამოასწოროს შეუსაბამობები ან/და ხარვეზები „მაგთიკომის“ მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

3.6. 3.5 პუნქტის თანახმად გამოვლენილი შეუსაბამობების ან/და ხარვეზების სრულად აღმოფხვრის შემთხვევაში, ასეთი განაცხადის განხილვა განახლდება. იმ შემთხვევაში, თუ „კანდიდატი“ არ აღმოფხვრის შეუსაბამობებს ან/და ხარვეზებს 3.5 პუნქტით მითითებულ ვადაში, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია უარი უთხრას „კანდიდატს“ განაცხადის განხილვაზე.

3.7. განაცხადები განხილულ იქნება შემდეგი პირობების დაცვით, კერძოდ:

- „მაგთიკომის“ მიერ პირველად განხილული იქნება იმ „კანდიდატის“ განაცხადი, რომელიც წარდგენილია „ოფერტის“ „კომისიასთან“ შეთანხმებით და გამოქვეყნებიდან უადრესი თარიღით/დროით (შემდგომში - ,,თავდაპირველი განაცხადი“);

- „მაგთიკომი“ არ განიხილავს მეორე და შემდეგ განაცხადებს იმ დრომდე, სანამ არ იქნება გაფორმებული პირველი „ხელშეკრულება“ და განხორციელდება მომსახურების მიწოდების დაწყება ან „თავდაპირველი განაცხადი“ არ იქნება უარყოფილი;

- იმ შემთხვევაში, როცა „თავდაპირველი განაცხადის“ საფუძველზე გაფორმდება „ხელშეკრულება“ ან შეწყდება მოლაპარაკება/უარყოფილ იქნება „მაგთიკომი“ განიხილავს რიგით მომდევნო განაცხადს და ა.შ.

- ამ პუნქტში მოცემული თანმიმდევრობა შეეხება ყველა განსახილველ განაცხადს.

3.8. „კანდიდატს“ უფლება აქვს „მაგთიკომისთვის“ გაგზავნილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე გაიხმოს განაცხადი. ასეთ შემთხვევაში, „კანდიდატი“ ვალდებულია

აუნაზღაუროს „მაგთიკომს“ ის ხარჯები, რომლებიც მან გასწია განაცხადის განხილვის/მოლაპარაკების პროცესში.

4. წინასახელშეკრულებო ურთიერთობები

4.1. განაცხადის წარმატებით წარდგენის შემთხვევაში, „მაგთიკომი“ წერილობით აცნობებს „კანდიდატს“ ამის შესახებ და გაუგზავნის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესახებ ხელშეკრულებას ხელმოსაწერად. „კანდიდატი“ ვალდებულია ხელი მოაწეროს და დაუბრუნოს „მაგთიკომს” კონფიდენციალურობის ხელშეკრულება მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში.

4.2. გარდა 3.3. პუნქტში აღნიშნულისა, „კანდიდატი“ ვალდებულია „ხელშეკრულების“ გაფორმებამდე წარმოადგინოს საბანკო გარანტია ან/და დეპოზიტი, თუ „მაგთიკომი“„ხელშეკრულების“ გაფორმებამდე ვალდებული იქნება გაიღოს ხარჯი „კანდიდატის“ კონკრეტული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. საბანკო გარანტია უნდა იყოს გამოუთხოვადი, რომლის ძალითაც გარანტორი იღებს ვალდებულებას ბენეფიციარის („მაგთიკომის“) მოთხოვნის შემთხვევაში, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე გადაუხადოს ბენეფიციარის („მაგთიკომის“) მიერ მოთხოვნილი თანხა.

4.3. თუ „კანდიდატის“ მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში არ იქნება წარდგენილი ამგვარი საბანკო გარანტია ან/და დეპოზიტი, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს მოლაპარაკებები და „მაგთიკომი“ თავისუფლდება „ხელშეკრულების“ გაფორმების ვალდებულებისაგან.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების“ გაფორმებამდე მოლაპარაკებები შეწყდება და „მაგთიკომს“ გაწეული ექნება ხარჯი, „მაგთიკომს“ უფლება აქვს გამოიყენოს საბანკო გარანტია ან/და დეპოზიტი გაწეული ხარჯების დასაფარად.

5. მოლაპარაკებები და ხელშეკრულების გაფორმება

5.1. „მაგთიკომი“ „ოფერტის“ პირობებით დადგენილი წესის დაცვით განაცხადის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში გამოაქვეყნებს ოფერტის დეტალურ პირობებს „კანდიდატის“ მიერ მოთხოვნილ მომსახურებაზე და „მხარეები“ კეთილსინდისიერად დაიწყებენ სახელშეკრულებო პირობებზე შეთანხმებას, „ხელშეკრულების“ მიზნით.

5.2. „მაგთიკომი“, „ოფერტით“ დადგენილი წესით „ხელშეკრულების“ გაფორმების შემდგომ უზრუნველყოს წვდომას საკუთარ მობილურ ქსელში შემდეგი სერვისებისთვის:

5.2.1. ეროვნული როუმინგი („კანდიდატს“ ექნება წვდომა ეროვნულ როუმინგის მომსახურებაზე იმ ადგილებში, სადაც მას ქსელის დაფარვა არ აქვს ან სიმძლავრე (გამტარუნარიანობა ან ხარისხობრივი მახასიათებლები) არ არის საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ადეკვატური ხარისხის მომსახურება ყველა საბოლოო მომხმარებლისთვის);

5.2.2. მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვება („კანდიდატს“ ექნება წვდომა ქსელის კომპონენტებზე, რომლებიც აუცილებელია მობილური სერვისების უზრუნველსაყოფად, როგორც ეს გათვალისწინებულია შესაბამის #2 დანართში);

5.2.3. თანალოკაციის მომსახურება („კანდიდატს“ ექნება წვდომა „მაგთიკომის“ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე, მათ შორის ტექნიკურ სივრცეებზე, შენობებზე, ანძებსა და მათთან დაკავშირებულ ობიექტებზე, როგორც ეს მითითებულია #3 დანართში).

5.3. თითოეული მომსახურების დეტალები, ფასების და ტექნიკური მახასიათებლების ჩათვლით, მითითებული იქნება „ხელშეკრულებაში“, როგორც ეს მოცემულია „ოფერტის“ დანართებში.

5.4. სხვა არსებითი პირობების გარდა, „ხელშეკრულება“ მოიცავს:

- ტექნიკური სამუშაოების განხორციელების ეტაპებსა და გრაფიკს;
- ხელშეკრულების მოქმედების ვადას, რომელიც არ შეიძლება იყოს ერთ წელზე ნაკლები;
- მომსახურების მიწოდების დაწყების თარიღს (ვადა);
- მონაცემებს პროგნოზის შესახებ;
- ვალდებულების შესრულებისთვის დაკავშირებულ გადახდისა და გადახდის საბანკო გარანტიასთან ან/და დეპოზიტთან დაკავშირებულ პირობებს („ოფერტით“ გათვალისწინებული საბანკო გარანტია ან/და დეპოზიტი შესაძლოა მოთხოვნილ იქნას უცხოურ ვალუტაში).

5.5. „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების დაწყების წინაპირობები:

- გადახდის გარანტიის ან/და დეპოზიტის წარდგენა 12 თვის პროგნოზით განსაზღვრული მთლიანი ვალდებულების შესრულებისათვის. აღნიშნული გარანტიის ან/და დეპოზიტის თანხას, ასევე უნდა დაემატოს მხარდაჭერის საფასური და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ერთჯერადი

საფასური, თუ „მხარეთა“ შეთანხმებით აღნიშნული საფასურის გადახდა ხორციელდება ნაწილ-ნაწილ;

- ერთჯერადი საფასურის, მათ შორის ინსტალაციის (იმპლემენტაციის) საფასურის გადახდა, „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით. შენიშვნა: „მხარეები“ შესაძლოა შეთანხმდნენ „კანდიდატის“ მიერ გადასახდელი ერთჯერადი საფასურის ნაწილ-ნაწილ გადახდაზე, შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით;

- „კომისიის“ მიერ გაცემული წერილის წარდგენა, რომელიც ადასტურებს, რომ „ კანდიდატი“ არის „ავტორიზებული პირი“, მის მიმართ არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც ეხება მისი ავტორიზაციის შეჩერებას ან გაუქმებას და იგი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რათა ბოლო მომხმარებლებს მიაწოდოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურება;

- მობილური საკომუნიკაციო მომსახურების კომერციული გაშვებიდან 12 თვის პერიოდზე პროგნოზის შესახებ ინფორმაციის წარდგენა;

- სასამართლოს მიერ გაცემული ცნობის წარდგენა, რომელიც ადასტურებს, რომ „ კანდიდატის“ წინააღმდეგ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (ვალაუვალობის) საქმისწარმოება;

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტის წარდგენა, „კანდიდატი“-ს ქონებაზე ან წილზე ყადაღის ან სხვა ტიპის აკრძალვის შესახებ;

- „კანდიდატის“ წერილობითი დასტური, რომ არ არსებობს რაიმე გარემოება, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას „ხელშეკრულების“ გაფორმებას, მისი და „ოფერტით” განსაზღვრული მოთხოვნების/პირობების შესრულებას.

5.6. „ხელშეკრულებით“ დადგენილი სხვა გარემოებების გარდა, „ხელშეკრულება“ შეიძლება შეწყდეს:

- „კომისიის“ ან სასამართლოს გადაწყვეტილებით „მაგთიკომის“ მიმართ დადგენილი ვალდებულების ცვლილების/გაუქმების შემთხვევაში;

- „კანდიდატის“ მიერ „ოფერტით“ გათვალისწინებული განცხადებებისა და გარანტიების დარღვევის/უზუსტობის შემთხვევაში;

- „კანდიდატის“ ავტორიზაციის შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში, რამაც შეიძლება აკრძალოს ან სხვაგვარად შეზღუდოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება;

- „კანდიდატის“ წინააღმდეგ გადახდისუუნარობის (ვალაუვალობის) საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში;

- „კანდიდატის“ მიერ ელექტრონული კომუნიკაციის ან კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, რამაც შეიძლება აკრძალოს ან სხვაგვარად შეზღუდოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება;

- „MVNO“-ს შემთხვევაში, „კანდიდატის“ან მისი „აფილირებული პირის“ მიერ საქართველოში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის (რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მობილური საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად) მოპოვების შემთხვევაში;

- „კანდიდატის“ მიერ წარდგენილი საბანკო გარანტის ან/და დეპოზიტის ბათილად/ძალადაკარგულად ან ვადაგასულად მიჩნევის ან „კანდიდატის“ მიერ საბანკო გარანტიის ან/და დეპოზიტის ამ „ოფერტის“ ან „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად არ წარმოდგენის შემთხვევაში;

- „MVNO“-ს შემთხვევაში, „კანდიდატის“ მიერ მობილური ვირტუალური ქსელის დაშვების მომსახურებით საქართველოში არსებული სხვა „ავტორიზებული პირისაგან“ სარგებლობის შემთხვევაში;

- თუ „კომისიის“ წევრი ან მისი ოჯახის წევრი გახდება „კანდიდატის“ ან მისი „აფილირებული პირის“ წილის ან აქციის მფლობელი ან დაინიშნება მენეჯერულ პოზიციაზე ან „კანდიდატი“ ან მისი „აფილირებული პირი“ მოექცევა „კომისიის“ წევრის ან მისი ოჯახის წევრის „კონტროლის“ ქვეშ.

- „კანდიდატის“ მიერ „ოფერტის“ 6.5 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში.

5.7. „ხელშეკრულება“ შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაში, თუ „მაგთიკომი“ წყვეტს კონკრეტული მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას მისი ბოლო მომხმარებლებისთვის ან შეწყვეტს კონკრეტულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ამგვარი მომსახურების მიწოდებას. რა შემთხვევაშიც, „მაგთიკომი“ შეატყობინებს „კანდიდატს“არანაკლებ 60 დღით ადრე.

5.8. „კანდიდატმა“ უნდა წარმოადგინოს გარანტია ან/და დეპოზიტი ყოველი მომდევნო სრული წლისთვის, რომლის ოდენობაც არ შეიძლება იყოს 12 თვის პროგნოზის შესაბამის მაქსიმალურ მისაღებ მომსახურების ღირებულებაზე ნაკლები. აღნიშნული ვალდებულება უნდა შესრულდეს ყოველი წლის დაწყებამდე 90 დღით ადრე.

გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადას დამატებული 60 დღე.

5.9. „კანდიდატი“ „ოფერტაზე“ აქცეპტის განხორციელებით, ადასტურებს რომ მისთვის ცნობილია სასამართლო დავის მიმდინარეობის თაობაზე, სადაც მოსარჩელე არის „მაგთიკომი“ და მოთხოვნილი აქვს პრეამბულაში მითითებული „კომისიის“ გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების ნაწილში. შესაბამისად, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, „ხელშეკრულების“/“ოფერტის“ პირობები გადაიხედება, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ამასთან, სპეციფიკური ვალდებულებების გაუქმების შემთხვევაში, „მაგთიკომი“ უფლებამოსილი იქნება შეწყვიტოს „ხელშეკრულების“/“ოფერტის“ მოქმედება.

5.10. მომსახურების მისაღებად საჭირო ტექნიკური იმპლემენტაცია დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც „მხარეები“გააფორმებენ „ხელშეკრულებას“.

5.11. „მაგთიკომი“ არ არის ვალდებული გაუწიოს „კანდიდატს“ ის მომსახურება, რომელიც ცალსახად და პირდაპირ არ იქნება შეთანხმებული და ასახული „ხელშეკრულებაში“.

6. მომსახურების საფასური

6.1. „კანდიდატის“ მიერ, „ოფერტის“ მე-3 მუხლით განსაზღვრული მომსახურებებისათვის გადასახდელი და „მხარეთა“ შორის შეთანხმებული ნებისმიერი დამატებით გასაწევი მომსახურებისათვის გათვალისწინებული საფასურის მოდელი მოცემულია „ოფერტის“ დანართებში, რომელიც დაზუსტდება „კანდიდატის“ მოთხოვნის გათვალისწინებით და ასახულ იქნება „ხელშეკრულებაში“. მიუხედავად აღნიშნულისა, მომსახურების საფასური ეროვნული როუმინგის და „MVNO“-ს ტიპის, ანგარიშსწორების პირობების, მომსახურების შესყიდვის პირობების (მოხმარების მიხედვით, გარანტირებული მოცულობა, აკუმულირებადი, ჩაწვადი და ა.შ), ხელშეკრულების ხანგრძლივობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, დამატებით შეთანხმდება „მხარეთა“ მიერ. „მაგთიკომი“ ასევე იტოვებს უფლებას „კანდიდატს“ დააკისროს ისეთი ნებისმიერი დამატებითი საფასური ან გადასახდელის გადახდა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არის დაწესებული „მაგთიკომისთვის“ და უკავშირდება „კანდიდატისთვის“ გასაწევ საბითუმო მომსახურებას.

6.2. „მაგთიკომს“ უფლება აქვს გადახედოს და ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების საფასური. ცვლილებები ძალაში შევა წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 60 დღის შემდეგ. მომსახურების საფასურის გადახედვის საფუძველი შესაძლოა იყოს მაგ. მობილურ საკომუნიკაციო ბაზარზე ტარიფების ცვლილება, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება, ინფლაცია, „კომისიის“ გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოდელით ახალი ტარიფების მიღება, სასამართლოს

გადაწყვეტილება და სხვა ობიექტური გარემოებები. ამასთან, მომსახურების საფასურის ცვლილების დეტალური პირობები ასევე განსაზღვრული იქნება „ხელშეკრულებაში“.

6.3. იმ შემთხვევაში, თუ „კანდიდატი“ არ დაეთანხმება 6.2 პუნქტში მითითებულ ცვლილებებს, იგი ამის შესახებ აცნობებს „მაგთიკომს“ ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. თუ „მხარეები“ ვერ მიაღწევენ შეთანხმებას საფასურის ცვლილებაზე, „კანდიდატის“ მხრიდან ასეთი შეტყობინება ჩაითვლება „ხელშეკრულების“ შეწყვეტის ნების გამოვლენად და „მაგთიკომს“ წარმოეშობა უფლება წერილობით შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს „ ხელშეკრულება“. „ხელშეკრულება“ და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება წყდება წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 60 დღის გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ „კანდიდატი“დროულად ვერ უზრუნველყოფს „მაგთიკომისთვის“ საპასუხო შეტყობინების მიწოდებას, ეს შემთხვევა მიჩნეული იქნება „კანდიდატის“ მხრიდან თანხმობად „ხელშეკრულების“ შეცვლილი საფასურით გაგრძელებაზე.

6.4. „კანდიდატი“ იღებს ვალდებულებას მოთხოვნისამებრ წარუდგინოს „მაგთიკომს“ საბანკო გარანტია ან/და ფულადი დეპოზიტი. ამ თანხის ოდენობასთან დაკავშირებული დეტალური პირობები გაწერილი იქნება „ხელშეკრულებაში“.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „კანდიდატის“ მიერ მიღებული მომსახურება (იგულისხმება „MVNO მომსახურება“ და „ეროვნული როუმინგის მომსახურება“) თვის ჭრილში 15%-ით გადააჭარბებს საპროგნოზო მონაცემს, „მაგთიკომი“ იტოვებს უფლებას მოსთხოვოს „კანდიდატს“ მოახდინოს პროგნოზის ხელახალი გადაანგარიშება და წარუდგინოს „მაგთიკომს“ პროპორციულად გაზრდილი საბანკო გარანტია/დეპოზიტი „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ამასთან, „მაგთიკომი“ უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს საჯარიმო სანქცია, რომელიც ასახულ იქნება „ხელშეკრულებაში“.

6.6. მიუხედავად „ოფერტის“ მე-6 მუხლით განსაზღვრული რეგულაციისა, თუ ნებისმიერი საანგარიშსწორებო პერიოდის (საარიშსწორებო თვის) ბოლოს ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლართან მიმართებაში დადგენილი გაცვლითი კურსის საშუალო მაჩვენებელი აღემატება ხელშეკრულების დადების მომენტში არსებულ კურსს 5%-ით ან მეტით, ასეთ შემთხვევაში შპს „მაგთიკომის“ წერილობითი განცხადების საფუძველზე სახელშეკრულებო მომსახურების ტარიფები შეიცვლება ავტომატურად შესაბამისი პროპორციით. აღნიშნული პირობის ამოქმედებისას საბითუმო ტარიფების ზრდა შესაბამისობაში იქნება ე.წ. „შეკუმშვის ტესტის“ მეთოდოლოგიასთან.მომსახურების აღრიცხვა განხორციელდება „მაგთიკომის“ საბილინგო სისტემის მეშვეობით და მისი მეშვეობით განხორციელდება გაწეული მომსახურების საფასურის დაანგარიშება.

7. ფასების ინდექსაცია

7.1. „ოფერტით“ გათვალისწინებული მომსახურების საფასური ექვემდებარება ფასების ინდექსაციას. „მაგთიკომი“ და „კანდიდატი“ იღებენ ვალდებულებას კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპარაკებები ფასების ინდექსაციის გონივრულ მექანიზმზე.

8. იმპლემენტაცია და იმპლემენტაციის საფასური

8.1. „მაგთიკომი“, „კანდიდატს“, რომელსაც სურს „MVNO მომსახურება“, სთავაზობს მის ქსელსა და სისტემაზე დაშვების დონეებს, რომელიც მოცემულია #2 დანართში.

8.2. „ოფერტის“ დანართში მოცემულია ქსელური მოწყობილობების ზედა დონის აღწერილობა, რომელთაც გავლენა გააჩნიათ თითოეულ ქსელის არქიტექტურაში. დეტალური არქიტექტურა, როგორც ლოგიკურ, ასევე ფიზიკურ დონეზე, განისაზღვრება მოლაპარაკებების დროს და აისახება „ ხელშეკრულებაში“. ინტერფეისი, რომელიც საშუალებას აძლევს „მაგთიკომს“ გაუზიაროს „კანდიდატს“, „კანდიდატის“ მომხმარებლების მიერ გამოყენებული მომსახურებების შესახებ ინფორმაცია, ასევე უნდა განისაზღვროს „ხელშეკრულებით“.

8.3. „ხელშეკრულებაში“ უნდა იყოს მითითებული ტექნიკური იმპლემენტაციის სამუშაოები, რომელიც საჭიროა „მაგთიკომის“ ქსელზე საბითუმო წვდომის უზრუნველსაყოფად, მათ შორის „მხარეთა“ პასუხისმგებლობები და შეთანხმებული პროექტის გეგმა. „მაგთიკომს“ შეუძლია „კანდიდატს“ დააკისროს იმპლემენტაციის ხარჯების გადახდა.

8.4. „მაგთიკომსა“ და „კანდიდატს“ შორის საოპერაციო პროცესები რეგულირდება „ხელშეკრულებით“. ასეთი პროცესები, inter alia, მოიცავს სერვისების გააქტიურებას, ცვლილებებს და შეწყვეტას, მომსახურების მონიტორინგს და ინციდენტების მართვას. ცალკეულ მომსახურებებთან დაკავშირებული დეტალური პროცესები შესაძლოა განისაზღვროს მათი იმპლემენტაციის შემდგომ ეტაპებზე, ორივე მხარის ტექნიკური და სერვისის სპეციფიკური საჭიროებიდან გამომდინარე. ასეთი პროცესების მონახაზი მოცემულია #4 დანართში.

8.5. „კანდიდატმა“ უნდა შეინარჩუნოს კომუნიკაცია შეთანხმებული არხებისა და მეთოდების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი ინციდენტის ან მომსახურების საკითხების სწრაფ გადაწყვეტას და უნდა დარეგულირდეს დანართში მოცემული პირობების შესაბამისად.

8.6. მომსახურების დონის დეტალური შეთანხმებები (SLA) და მომსახურების ძირითადი ინდიკატორები (KPI) შემუშავდება და განისაზღვრება ხელშეკრულებით. ძირითადი პირობები მოცემულია შესაბამის #5 დანართში.

9. არადისკრიმინაციული ვალდებულებები

9.1. „მაგთიკომი“ უზრუნველყოფს „MVNO მომსახურების“ და „ეროვნული როუმინგის მომსახურებისას“ „კანდიდატის“ მომხმარებელთათვის იმავე ხარისხისა და დაფარვის მომსახურების მიწოდებას, როგორსაც ის აწვდის საკუთარ ბოლო მომხმარებელს და „მაგთიკომის“ ქსელში ჩართულ სხვა „კანდიდატებს“, მათ შორის, ტექნიკური სამუშაოების შედეგად მომსახურების შეჩერებასთან და საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით (მათ შორის, აღდგენითი სამუშაოები, განახლებები და ცვლილებები „მაგთიკომის“ ქსელში).

9.2. „მაგთიკომს“ უფლება აქვს მის ქსელში მართოს ტრაფიკის ნაკადი (მათ შორის, „კანდიდატის“ მომხმარებლების ჩათვლით) ქსელის მთლიანობის შესანარჩუნებლად ან მომხმარებელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად კონკრეტულ ფიჭურ ზონაში. „მაგთიკომის“ მიერ მის მომხმარებლებზე შეთავაზებული მომსახურებების ნუსხის (პორტფელის) შემცირებამ შეიძლება, ასევე გამოიწვიოს შედარებითი შეზღუდვები „კანდიდატის“ მიერ საკუთარი მომხარებლებისათვის შეთავაზებულ მომსახურებებზე, იმ პირობით, რომ „მაგთიკომი“ წინასწარ აცნობებს ამის შესახებ „კანდიდატს“ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში.

9.3. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, „მაგთიკომის“ მიერ, ნებისმიერი ახალი ტექნოლოგიისა თუ პროდუქტთან დაკავშირებული მისი ბოლო მომხარებლებისათვის გაკეთებული საცალო შეთავაზებები, რომელიც „მაგთიკომმა“ შესთავაზა „კანდიდატს“„ოფერტის“ მე-2 მუხლის შესაბამისად და რომლებიც შესაძლოა „კანდიდატმა“ არ შეიძინოს ან არ შესთავაზოს თავის მომხმარებლებს, არ მიიჩნევა დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებების დარღვევად.

9.4. „მაგთიკომს“ უფლება აქვს განახორციელოს მონიტორინგი და ჩაატაროს „კანდიდატის“ მომხმარებლების შიდა ანალიზები ქსელის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნისათვის, როგორც ამას უზრუნველყოფს საკუთარი მომხმარებლებისა.

10. მონაცემები პროგნოზის შესახებ

10.1. „ხელშეკრულება“ უნდა ითვალისწინებდეს საპროგნოზო (სავარაუდო/მოსალოდნელ) მოთხოვნებს, ტევადობის ეფექტური მენეჯმენტის მიზნებისათვის. „კანდიდატი“ ვალდებულია წარმოადგინოს პროგნოზი შესაბამისი მომსახურების კომერციულ გაშვებამდე. ასეთი პროგნოზის მონახაზი მოცემულია #6 დანართში.

10.2. თითოეული პროგნოზის შესახებ მონაცემებში მითითებული უნდა იყოს ხმოვანი ზარების მოცულობა (წუთები), მონაცემთა გადაცემა (მეგაბაიტები) და SMS ტრაფიკი (SMS შეტყობინებები), რომელიც სავარაუდოა, რომ ათვისებული იქნება „MVNO“-ს მომხმარებლების მიერ ყოველი კალენდარული 12 თვის პროგნოზით (შესაბამისი მომსახურების კომერციული გაშვებიდან).

10.3. „კანდიდატმა“ უნდა წარადგინოს შემდგომი 12 თვის მონაცემები პროგნოზის შესახებ, მათ შორის MD&A დაგეგმილ პროგნოზთან და ფაქტობრივი შესრულების შესახებ, ყოველ ჯერზე წინა პროგნოზის შესახებ მონაცემების პერიოდის დასრულებამდე 90 დღით ადრე.

10.4. თუ „ხელშეკრულების“ გაფორმებამდე ან მისი მოქმედების განმავლობაში „მაგთიკომს“ მოუწევს ფინანსური ინვესტიციების განხორციელება ან/და რაიმე ხარჯის გაწევა „კანდიდატის“ კონკრეტული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, „კანდიდატს“ წინასწარ წერილობით ეცნობება ამის შესახებ და მხარეები შეთანხმდებიან ინვესტიციის ან/და ხარჯების ოდენობაზე, რომელიც უნდა გაიღოს „კანდიდატმა“.

10.5. „ოფერტის“ 10.3 პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში, „კანდიდატი“: ა) ეთანხმება ინვესტიციის ან/და ხარჯის ოდენობას „კანდიდატის“ მხრიდან და იხდის აღნიშნულ თანხას ან ბ) უარს აცხადებს ინვესტიციის განხორციელებაზე და შესაბამისი ცვლილებები შეაქვს საპროგნოზო მონაცემებში, რათა თავიდან იქნას აცილებული „მაგთიკომის“ მხრიდან რაიმე სახის ინვესტიციის განხორციელება.

10.6. „ოფერტის“ 10.3 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში „კანდიდატის“ მხრიდან პასუხის მიუღებლობა, მიიჩნევა როგორც უარი პროპორციული ინვესტიციის განხორციელებაზე ან/და ხარჯის გაწევაზე და „მაგთიკომს“ უფლება ეძლევა თვითონ შეცვალოს საპროგნოზო მონაცემები იმგვარად, რომ თავიდან აიცილოს ინვესტიციების განხორციელება ან/და ხარჯის გაწევა.

11. „კანდიდატის“ მომხმარებელთა შესახებ ინფორმაციასთან წვდომა და გამოყენება

11.1. იმდენად რამდენადაც „მაგთიკომის“ პერსონალს ექნება წვდომა „კანდიდატის“ მომხმარებელთა და წარმომადგენელთა (იგულისხმება დასაქმებულების, კოტრაქტორები, კონსულტანტები, რომელიც ჩართული იქნებიან მოლაპარაკების და „ხელშეკრულების“ შესრულების პროცესში) პერსონალურ ინფორმაციასთან, „მაგთიკომი“ უზრუნველყოფს რომ ამგვარი წვდომა გააჩნდეს მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც წვდომა სჭირდებათ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

11.2. „მაგთიკომი“ და „კანდიდატი“ თანხმდებიან, რომ „კანდიდატის“ მიერ „მაგთიკომისათვის“ მიწოდებული ინფორმაცია მომხმარებელთა შესახებ შემოიფარგლება მხოლოდ მომსახურების განსახორციელებლად მკაცრად განსაზღვრული საჭირო მიზნებისათვის. „კანდიდატმა“ „ხელშეკრულების“ საფუძველზე უნდა დართოს ნება „მაგთიკომს“ გამოიყენოს მომხმარებლებთან დაკავშირებული ტრაფიკისა და ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემები და მიაწოდოს ასეთი მონაცემები მესამე პირებს, მხოლოდ იმ მოცულობით, რაც საჭიროა მართლზომიერი გადაჭერის, ბილინგის, ტევადობის მენეჯმენტის და ტრაფიკის მართვის, თაღლითობის შემთხვევების გამოვლენის, მარშრუტიზაციის, ფიჭის იდენტიფიცირებისათვის და სხვა ტექნიკური მიზნებისათვის, რომლებიც საჭიროა „კანდიდატის“საბითუმო დაშვების უზრუნველყოფისათვის ან სხვაგვარად, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების ან კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მითითებების შესასრულებლად.

11.3. „კანდიდატი“ ვალდებულია წინასწარ მიიღოს თანხმობა საკუთარი ბოლო მომხმარებლებისაგან და წარმომადგენლებისაგან მათი მონაცემების „მაგთიკომის“ მიერ დამუშავებაზე.

11.4. „მხარეები“ გააფორმებენ შეთანხმებას პერსონალური მონაცემთა დამუშავებაზე, სადაც დეტალურად იქნება განსაზღვრული მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

12. ნუმერაციის რესურსი

12.1. „კანდიდატის“ ნუმერაციის რესურსთან („კანდიდატის“ მიერ გამოყენებული IMSI და MSISDN დიაპაზონები) დაკავშირებული მოთხოვნები შეთანხმდება და ჩამოყალიბდება „ხელშეკრულებაში“ და ის დამოკიდებული იქნება საბოლოო ტექნიკურ გადაწყვეტაზე.

12.2. საკუთარი ბოლო მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდების მიზნით „კანდიდატმა“ უნდა გამოიყენოს მის სარგებლობაში არსებული ნუმერაციის რესურსი.

12.3. „კანდიდატს“ უნდა გააჩნდეს საშუალება უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები სააბონენტო ნომრების პორტირების უზრუნველსაყოფად.

13. კონფიდენციალურობა, ინფორმაციული უსაფრთხოება და მონაცემთა დაცვა

13.1. „კანდიდატის“ მომხმარებლის მონაცემების (მათ შორის, ტრაფიკის და ადგილმდებარეობის მანიშნებელი მონაცემების) დამუშავებასთან დაკავშირებით,

როგორც „მაგთიკომი“, ასევე „კანდიდატი“ უნდა აკმაყოფილებდნენ მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალობის შესახებ შესაბამის საკანონმდებლო მოთხოვნებს.

13.2. „მხარეები“ თანხმდებიან დაიცვან ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნები და რეკომენდაციები. მოთხოვნის შემთხვევაში, „კანდიდატმა“ უნდა უზრუნველყოს „მაგთიკომის“ მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობის შეფასებისათვის შესაბამის ტექნიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერა. „კანდიდატი“ ვალდებულია დაიცვას „მაგთიკომის“ ინფორმაციულ აქტივებზე წვდომისათვის „ხელშეკრულებით“ შეთანხმებული წესები.

14. „მაგთიკომის“ ქსელის გამოყენება

14.1. „კანდიდატი“ იღებს ვალდებულებას მიიღოს ყველა ზომა, რათა შეინარჩუნოს და დაიცვას „მაგთიკომის“ ქსელის სტანდარტები.

14.2. „კანდიდატი“ იღებს ვალდებულებას, რომ მისი მოწყობილობა და აპარატურა, რომელიც გამოიყენება მისი ბოლო მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებისთვის თავსებადი იქნება „მაგთიკომის“ მოწყობილობა/ქსელთან და არ დააზიანებს ან სხვაგვარად არ შეაფერხებს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას.

14.3. „კანდიდატი“ ვალდებულია დააინსტალიროს/დააყენოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც შეძლებენ მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისას თაღლითური შემთხვევების და კიბერშეტევების ეფექტურად პრევენციას, გამოვლენას და მათზე რეაგირებას.

14.4. „კანდიდატი“ კისრულობს ვალდებულებას:

- არ დაუშვას კონკურენციის შემზღუდავი ქმედებები, მათ შორის, მომხმარებელთა რომელიმე ჯგუფის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა ავტორიზებულ პირთა ან მომხმარებელთა ჯგუფების ხარჯზე; არ გამოიყენოს საბითუმო დაშვების მომსახურებები ან არ მისცეს რომელიმე მომხმარებელს ან სხვა მესამე პირს ისარგებლოს მომსახურებით ამორალური, უხამსი, საზიანო ან უკანონო მიზნით;

- არ დააკავშიროს ან არ დაუშვას რომელიმე მომხმარებლის ან სხვა მესამე პირის დაკავშირება „მაგთიკომის“ ქსელთან ნებისმიერი მობილური მოწყობილობით (იქნება ეს ტელეფონი, USIM ან სხვა მოწყობილობა), გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი მოწყობილობა შეესაბამება საერთაშორისო ტექნიკური სტანდარტებს;

- მინიმუმ 10 დღით ადრე მიაწოდოს „მაგთიკომს“ ინფორმაცია ყველა დაგეგმილი UE (სააბონენტო აპარატურა)/CPE-ის (კლიენტის ტერიტორიაზე განთავსებული სატელეკომუნიკაციო მოწყობილობა) შესახებ, სანამ „კანდიდატი“ გახდის ამ მოწყობილობას კომერციულად ხელმისაწვდომს;

- არ დააკავშიროს ან არ დაუშვას, რომ რომელიმე მომხმარებელმა ან სხვა მესამე პირმა მოახდინოს SIM ბარათების დუბლირება (ერთი და იგივე IMSI-ით) ან მანიპულირება SIM ბარათებზე როუმინგული თაღლითობის, მაღალფასიანი პრემიუმ მიმართულებების მომსახურების ბოროტად გამოყენების, SMS სპამის/გაყალბების, ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული, აბონენტის იდენტიფიცირების გაყალბების ან მსგავსი თაღლითობის გამოყენების გზით;

- არ დაუშვას, რომ რომელიმე მომხმარებელი ან სხვა მესამე პირი დაუკავშირდეს ან გააგრძელოს ნებისმიერი მოწყობილობის დაკავშირება, რომელიც საშუალებას იძლევა ურთიერთჩართვის საფასურის გვერდის ავლით განახორციელოს ზარები (GSM Gateway/სიმ ბოქსი) „მაგთიკომის“ ქსელში, „მაგთიკომის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

- მონიტორინგი გაუწიოს იმ აქტივობებს, რაც მოიცავს თაღლითობას, ხელოვნურად გაზრდილ ტრაფიკს და უსაფრთხოების ნებისმიერ სხვა დარღვევას, რომელიც დაკავშირებულია „მაგთიკომის“ ქსელის გამოყენებასთან, მათ შორის, ნებისმიერი წვდომის უნებართვო გამოყენებასთან. „კანდიდატი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს „მაგთიკომს“ ასეთი შემთხვევების შესახებ;

- დაიცვას უსაფრთხოების ნებისმიერი მოთხოვნები, რაც უკავშირდება „მაგთიკომის“ ქსელთან და სისტემებთან წვდომას და შეასრულოს „მაგთიკომის“ მიერ გაცემული ყველა ინსტრუქცია/მითითება საბითუმო წვდომის მომსახურებების გამოყენებასთან დაკავშირებით. დანერგოს ყველა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა და დაინსტალოს ის შესაბამისი მოწყობილობები, რომელიც უზრუნველყოფს კიბერუსაფრთხოების მაღალი სტანდარტების შესაბამისად „მაგთიკომის“ ქსელის დაცულობას. აღნიშნულ პროგრამულ უზრუნველყოფებსა და მოწყობილობებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისობის სერტიფიკატები და შესაბამისი ლიცენზიები და ტექნიკური მხარდაჭერა;

- არ გაავრცელოს რაიმე წინასწარ გადაუმოწმებელი/ყალბი ინფორმაცია „მაგთიკომის“ ქსელის შესახებ, არც შეცდომაში შეიყვანოს ან გააკეთოს შეცდომაში შემყვანი/მცდარი/ყალბი განცხადებები ან გარანტიები „მაგთიკომის“ ქსელთან დაკავშირებით;

- შეასრულოს „მაგთიკომის“ მიერ გაცემული ყველა მითითებები, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში აუცილებელია და დაეხმარება მას საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვაში;

- არ გამოიყენოს „მაგთიკომისაგან“ შეძენილი საბითუმო დაშვება იმ მომსახურებებთან ერთად, რომელიც მან შეიძინა სხვა მობილური ქსელის ოპერატორისგან საქართველოში (ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად ურთიერთჩართვის გარდა);

- არ გამოიყენოს „მაგთიკომის“ ქსელი იმგვარად, რომ საშუალება მიეცეს მესამე პირებს მიაწოდოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურება ბოლო მომხმარებლებს;

- არ იმოქმედოს იმგვარად, რაც გავლენას მოახდენს მომსახურების ხარისხზე ან გამოიწვევს სიგნალის დაფარვის შემცირებას „მაგთიკომის“ მომხმარებლებისთვის „კანდიდატის“ მომხმარებლებთან შედარებით;

- „MVNO მომსახურებისას“, არ მოსთხოვოს საქართველოში შემომავალ როუმერებს (სხვა ქვეყნის მომხმარებლები არაქართული მობილური ოპერატორის მიერ მიწოდებული SIM ბარათით) დაკავშირება მის მომსახურებებთან;

- არ დააკავშიროს ან შეგნებულად მისცეს უფლება მესამე პირებს დაუკავშირონ რაიმე სახის მოწყობილობა „მაგთიკომის“ ქსელს, გარდა მხარეთა შორის შეთანხმებული მოწყობილობებისა;

- არ იმოქმედოს იმგვარად, რომ რაიმე სახის ზიანი მიადგეს „მაგთიკომის“ სახელს და მის რეპუტაციას.

14.5. ნებისმიერი სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შეზღუდვის გარეშე, რომელიც ხელმისაწვდომია „მაგთიკომისთვის“, ასევე, დამატებით სხვა უფლებებისა, რომელიც „მაგთიკომს“ შეიძლება ჰქონდეს „ხელშეკრულებით“, მე-14 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი შემთხვევის დადგომისას/პირობის შეუსრულებლობისას, „მაგთიკომს“ უფლება აქვს შეაჩეროს მომსახურების მიწოდება ან შეწყვიტოს „ხელშეკრულება“, ისევე როგორც მოითხოვოს აღნიშნული შემთხვევების შედეგად მიყენებული ნებისმიერი ზიანის (როგორ პირდაპირი, ასევე არაპირდაპირის) ანაზღაურება.

14.6. „მაგთიკომს“ შეუძლია შეუჩეროს ან შეუწყვიტოს „კანდიდატის“ მომხმარებელს მომსახურების მიწოდება, თუ მომხმარებელი იყენებს მოწყობილობებს ან სხვა აღჭურვილობას, რომლებიც არის ნაკლის მქონე ან კანონით აკრძალული ან არ შეესაბამება საერთაშორისო ტექნიკურ სტანდარტებს, მომხმარებელი იწვევს

ტექნიკურ პრობლემებს „მაგთიკომის“ ქსელში, მომხმარებელი ეჭვმიტანილია თაღლითურ შემთხვევებში ან უნებართვოდ იყენებს მომსახურებას ან შეუძლებელია მისი, როგორც აბონენტის იდენტიფიცირება. მომსახურების შეჩერებამდე ანდა შეწყვეტამდე, „მაგთიკომი“ აცნობებს „კანდიდატს“ ამის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი წინასწარი შეტყობინება მიზანშეუწონელია ან გონივრულად შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში „კანდიდატის“ ინფორმირება მოხდება დაუყოვნებლივ ამ ფაქტის შემდგომ, შესაბამისი შესაძლებლობის გაჩენისთანავე.

14.7. „მაგთიკომს“ უფლება აქვს „კანდიდატს“ მოსთხოვოს იმ SIM ბარათის დაბლოკვა, რომელიც გამოიყენება ზემოხსენებული აკრძალვების დარღვევით, ხოლო „კანდიდატი“, თავის მხრივ, ვალდებულია გამოიკვლიოს ეს მოთხოვნა და დაბლოკოს შესაბამისი SIM ბარათი.

14.8. თუ „მაგთიკომს“ ან „კანდიდატს“ ეჭვი გაუჩნდება საბითუმო დაშვების შეთავაზების საფუძველზე მიწოდებულ მომსახურებებთან დაკავშირებულ რაიმე სახის თაღლითობაზე ან ამ მომსახურების ბოროტად გამოყენებაზე, ისინი დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს და ითანამშრომლებენ კეთილსინდისიერად და გამოიყენებენ ყველა შესაბამის საშუალებას მყისიერად მოახდინონ იდენტიფიცირება, თავიდან აიცილონ ან აღმოფხვრან თაღლითობა ან მომსახურების ბოროტად გამოყენება, რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

14.9. „მაგთიკომი“ არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე სახის ტექნიკურ გაუმართაობაზე, რომელიც დაკავშირებულია საბოლოო მომხმარებლის აღჭურვილობასთან ან მოწყობილობებთან, რომლებსაც იყენებენ „კანდიდატის“ მომხმარებლები. „კანდიდატს“ ეკისრება სრულ პასუხისმგებლობა, რომ მისი მომხმარებლების აღჭურვილობა თავსებადი იქნება „მაგთიკომის“ ქსელთან და სერვისებთან.

15. ინტელექტუალური საკუთრების უფლება და ბრენდინგი

15.1. ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლება, რომელსაც ფლობს „მხარე“ ან მისი საკუთრებაა, რჩება ამ „მხარესთან“ ექსკლუზიურად.

15.2. ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლება „მაგთიკომის“ სასაქონლო ნიშანზე და „მაგთიკომის“ ქსელზე რჩება „მაგთიკომის“ საკუთრებაში. „კანდიდატს“ ეკრძალება „მაგთიკომის“ ბრენდით საკუთარი მომსახურებების ბრენდირება ან რეკლამირება ან „მაგთიკომის“ სახელწოდების ნებისმიერი ფორმით გამოყენება, თუ ეს პირდაპირ და ცალსახად არ იქნება წინასწარ ნებადართული თავად „მაგთიკომის“ მიერ.

15.3. ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლება „კანდიდატის“ სასაქონლო ნიშანზე წარმოადგენს „კანდიდატის“ საკუთრებას.

15.4. „მხარეები“ ვალდებულნი არიან დაიცვან და შეასრულონ ყველა მარეგულირებელი კანონი, კანონქვემდებარე აქტი, რეგულაცია თუ წესი, მათ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ფარგლებში, მათ შორის, შესაძლო გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კანონმდებლობა.

16. ცვლილების განხორციელების წესები

16.1 „მაგთიკომს“ უფლება აქვს გადახედოს და ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების პირობები ამ მუხლით და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული წესით.

16.2 ცვლილების განხორციელების შესახებ „მაგთიკომი“ წერილობით შეატყობინებს „კანდიდატს“.

16.3 იმ შემთხვევაში, თუ „კანდიდატი“ არ ეთანხმება ცვლილებას, წერილობით უნდა აცნობოს „მაგთიკომს“ ცვლილების თაობაზე შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ასეთ შემთხვევაში, „მხარეები“ შემდგომი 25 დღის განმავლობაში შეეცდებიან შეთანხმებას მიაღწიონ ცვლილების განხორციელებაზე.

16.4 შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში, „მაგთიკომის“ მიერ შეთავაზებული ცვლილებები ძალაში 16.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 31-ე დღეს.

16.5 თუ „კანდიდატს“ არ სურს შეცვლილი პირობებით „ხელშეკრულების“ გაგრძელება, ჩაითვლება „კანდიდატის“ მხრიდან „ხელშეკრულების“ შეწყვეტის ნების გამოვლენად და „მაგთიკომს“ წარმოეშობა უფლება წერილობით შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს „ხელშეკრულება“.

16.6 იმ შემთხვევაში, თუ 16.3 პუნქტით დადგენილ ვადაში წერილობით არ შეატყობინებს „მაგთიკომს“ პოზიციას შემოთავაზებულ ცვლილებასთან დაკავშირებით, ეს შემთხვევა მიჩნეული იქნება „კანდიდატის“ მხრიდან თანხმობად „ხელშეკრულების“ შეცვლილი პირობებით გაგრძელებაზე. ასეთ შემთხვევაში, პირობები შეცვლილად ჩაითვლება „მაგთიკომის“ შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან.

16.7 მომსახურების საფასურის ცვლილების პროცედურა მოცემულია „ოფერტის“ მე-6 მუხლში.

16.8 რომელიმე არსებულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მომსახურების მიწოდების შეწყვეტის ან/და ტექნოლოგიის გაუქმების შემთხვევაში, „მაგთიკომი“ მინიმუმ 60 დღით ადრე წერილობით აცნობებს ამის შესახებ „კანდიდატს“.

16.9 ახალი დაშვების მომსახურების შემოღების შემთხვევაში, „მაგთიკომი“ შესაბამის ცვლილებას შეიტანს „ოფერტაში“. განახლებული ოფერტის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, „მაგთიკომი“ აცნობებს „კანდიდატს“ „ოფერტის“ პირობების განახლების თაობაზე.

16.10 „კანდიდატის“ მხრიდან ახალი მომსახურების მიღების სურვილის გამოხატვის შემთხვევაში, „მხარეები“ შეთანხმდებიან „ხელშეკრულებაში“ შესაბამისი ცვლილების/დამატებების განხორციელებაზე.

17. პასუხისმგებლობის შეზღუდვები და გარანტიები

17.1. „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით, „მხარეთა“ პასუხისმგებლობა რეგულირდება უშუალოდ „ოფერტით“, „ხელშეკრულებითა“ და საქართველოს კანონმდებლობით.

17.2. „ხელშეკრულება“ გაითვალისწინებს სტანდარტულ განცხადებებსა და გარანტიებს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული უფლებაუნარიანობისა და უფლებამოსილების შესახებ, „ოფერტის“ პირობებთან შესაბამისობის, ყველა საჭირო ნებართვის, რეგისტრაციის, ლიცენზიის და მარეგულირებელ კანონმდებლობასთან თავსებადობის შესახებ.

18. ვადა და შეწყვეტის პირობები

18.1. „ხელშეკრულების“ ძალაში შესვლისა და მისი მოქმედების კონკრეტული ვადა შეთანხმდება „მხარეთა“ მიერ.

18.2. თითოეულ „მხარეს“უფლება აქვს შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ არსებითი პირობების დარღვევის, გადახდისუუნარობის (ვალაუვალობის) შემთხვევების და ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. „ხელშეკრულებაში“ განსაზღვრული სხვა გარემოებების გარდა, „ხელშეკრულების“ არსებითი პირობების დარღვევად ჩაითვლება „კანდიდატის“ მიერ 2 (ორი) თვის ან მეტი ვადით მომსახურების საფასურის გადაუხდელობა. „ხელშეკრულების“ შეწყვეტის დამატებითი პირობები შეთანხმდება და გაიწერება „ხელშეკრულებაში“.

19. პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება

20.1 „მხარის“ მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო მეორე „მხარისთვის“ მიყენებული ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას „ოფერტით“ და „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით.

20.2 „მხარე“ ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ ზიანი, რომელიც გამოწვეულია „მხარის“ წარმომადგენლის ან იმ პირის ქმედებით, რომელიც მან ჩართო „ოფერტით“ ან/და „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

20.3 „მაგთიკომის“ პასუხისმგებლობა მომსახურების გაწევისას შემოიფარგლება „ხელშეკრულებით“/მომსახურების ხარისხის შეთანხმებით გათვალისწინებული კომპენსაციით.

20. „ოფერტის“ ძალაში შესვლა, მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქცია

20.1. „ხელშეკრულება“ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

20.2. წინამდებარე „ოფერტა“ წარმოადგენს პირველ ვერსიას და ძალაში შედის „კომისიის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების დღიდან.

20.3. „ოფერტა“ მოქმედებს 1 წლის ვადით.

20.4. „ოფერტის“ პირობების ცვლილება შეთანხმდება „კომისიასთან“.

20.5. თუ „ოფერტის“ ცვლილება ეხება ახალი საცალო მომსახურების გაშვებას, „მაგთიკომი“ ასეთ ახალ მომსახურებას დაიწყებს განახლებული მოწვევის ოფერტის გამოქვეყნებიდან 30 დღის შემდეგ.

21. „ოფერტის“ დანართები

21.1. „ოფერტას“ თან ერთვის ქვემოთ მოცემული დანართები:

21.1.1. დანართი #1 ეროვნული როუმინგი (დაშვების წერტილები, ტექნიკური მახასიათებლები, სერვისები და ტარიფები);

21.1.2. დანართი #2 – MVNO მომსახურება (დაშვების წერტილები, ტექნიკური მახასიათებლები, სერვისები და ტარიფები);

21.1.3. დანართი #3 – თანალოკაცია;

21.1.4. დანართი #4 - პროცესები;

21.1.5. დანართი #5 - მომსახურების ხარისხის გარანტიები;

21.1.6. დანართი #6 - პროგნოზი

21.1.7. დანართი #7 - აბრევიატურების განმარტება;

21.1.8. დანართი #8 - საბანკო გარანტიის ტექსტი;

21.1.9. დანართი #9 - კონფიდენციალურობის შეთანხმება

21.1.10. დანართი #10 - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში.

21.2. თითოეული დანართი წარმოადგენს „ოფერტის“ განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.